ნესტან სულავა

წმ. ელია წინასწარმეტყველი ძართულ წერილობით წყაროებში

წმ. ელია წინასწარმეტყველის ხატ-სახე ქართულ საეკლესიო სივრცეში რამდენიმე მიმართულებით იქცევს ყურადღებას: 1. წმ. ელია წინასწარმეტყველის ბიბლიური ხატ-სახე და მისი პარადიგმული გააზრება ახალ აღთქმაში, ქრისტიანულ საღვთისმეტყველო ლიტერატურაში, კერძოდ, წმინდა მამათა მოძღვრებებში, ჰაგიოგრაფიაში, ჰიმნოგრაფიაში, აგრეთვე, საერო ლიტერატურაში; უნდა აღინიშნოს, რომ ელია წინასწარმეტყველს იცნობენ და აღიარებენ სხვა რელიგიებიც; 2. წმ. ელია წინასწარმეტყველის ხალენი და მისი სიმბოლური მნიშვნელობა, საქართველოში ელიას ხალენის მოობრძანების ღირებულება, როგორც მაცხოვრის კვართის საქართველოში დავანების წინასაფეხური და წინაპირობა. ძველი და ახალი აღთქმის ორი უდიდესი სიწმინდის ერთმანეთთან დაკავშირება, ერთად დამკვიდრება საკრალური მნიშვნელობისაა. ძველ აღთქმას სიმბოლურად გამოხატავს ელიას ხალენი, რომელიც წინასწარმეტყველებაა ახალი აღთქმის მოძღვრების გავრცელებისა საქართველოში, ხოლო ახალი აღთქმის სიმბოლოდ უფლის კვართის დამკვიდრება საქართველოში მოწმობს ღვთის მცნებათა გზაზე სვლას, ქართველი ერის სულიერ ჩამოყალიბებას ქრისტიანული მრწამსის კვალობაზე. მცხეთაში ელიას ხალენის მოხვედრა, არსებობა და დაცულობა მოწმობს ძველი აღთქმის ეპოქას, ხოლო უფლის კვართის საქართველოში დავანება ახალი აღთქმის ეპოქის დაწყებას მოასწავებს; წმ. ელიას პოპულარობის დასამოწმებლად ყურადღებას იქცევს ვარაუდი სვეტიცხოვლის ტაძრის საკურთხევლის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სათავსოში წმ. ელიას ხალენის განსასვენებლის არსებო-

ბის შესახებ; წმ. ელია წინასწარმეტყველის ხალენის შესახებ ცნობები დაცულია ქართულ საისტორიო თხზულებებში, ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში; 3. წმ. ელია წინასწარმეტყველის ოემის ამსახველი ხატწერის ნიმუშები და ფრესკული გამოსახულებები; 4. ონომასტიკური მონაცემები საქართველოში; 5. წმ. ელია წინასწარმეტყველთან დაკავშირებული ქართული ხალხური გადმოცემები და ტრადიციები.

წმ. ელიას ჰიპოდიგმური ხატ-სახის მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა, განსახილველია ძველი აღთქმის ნარატივის კვალობაზე, რათა განვსაზღვროთ მისი ზეცად ამაღლების სიმბოლური მნიშვნელობა, წმ. ელიას ხატ-სახის ჰიპოდიგმური სიმბოლური ღირებულება ქართულ ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში, რომლებშიც ქართველი წმინდანები წმ. ელიას სახისმეტყველებით წარმოიდგინებიან.

ბიბლიური მონათხრობი წმ. ელია წინასწარმეტყველის შესახებ. სახელი „ელია“ ებრაულიდან თარგმნისას ნიშნავს შემდეგს: „უფალი არის ღმერთი“. სახელდების პრინციპსა და სახელთა სიმბოლურ გააზრებას ღმერთის მიერ პირველი ადამიანის გაჩენისთანავე დაედო საფუძველი, ღმერთმა თავად მიანიჭა პირველ ადამიანს, ადამს, სახელდების ნიჭი, უნარი და უფლება, რის შემდეგაც ღვთისგან ქმნილ ყოველ არსს სახელი სწორედ ადამმა დაარქვა. თუ ამ ტრადიციის კვალობაზე განვიხილავთ წინასწარმეტყველ ელიას სახელს, ცხადად დავინახავთ, რომ ძველი აღოქმის ერთ-ერთ წინასწარმეტყველს, ქრისტეს შობამდე ცხრაასზე მეტი წლის წინ ლევიტელთა ტომიდან გამოსულ ელია//ილია თეზბიტელს საკუთარ სახელად ელია საგანგებოდ ეწოდა, რათა ღვთის მცნებები დაეცვა და ღვთის ნება აღესრულებინა. ბავშვობიდანვე გამორჩეული ელია ღვთის მცნებებს მუდმივად იცავდა, უდაბნოში განმარტოებული ლოცულობდა, ღვთის ნებას აღასრულებდა, მარხვას ინახავდა. ღვთისაგან წინასწარმეტყველების ნიჭით დაჯილდოებული ელიას თანამედროვე ისრაელის მეფე იყო უფლის საწინააღმდეგო ქცევებით გამორჩეული აქაბი, რომელიც თავისი წარმართი მეუღლის, იეზაბელის,

ინიციატივითა და რწმენით წვიმის წარმართულ ღვთაებას, ბაალს, სცემდა თაყვანს და ისრაელში უფლის მცნებათა ნაცვლად ბაალისადმი თაყვანისცემის გავრცელებას ცდილობდა, რაშიც მეფე აქაბი ხელს უწყობდა, ებრაელთა ღმერთის თაყვანისმცემლებს შეურაცხყოფდა და დევნიდა. წინასწარმეტყველი ელია მეფის წინაშე წარდგა და ღვთის ნება ამცნო, რომ წვიმა არ მოვიდოდა და ისრაელს საფრთხე შეექმნებოდა (III მეფ. 17, 1). ეს ღმერთის მიერ დაწესებული სასჯელი იყო და იგი მანამ გაგრძელდებოდა, სანამ კერპთაყვანისცემაზე გადასული ებრაელი ხალხი კვლავ ჭეშმარიტ რწმენას არ დაუბრუნდებოდა. ხალხი უნდა დარწმუნებულიყო, რომ წვიმის ღმერთად მიჩნეული წარმართული კერპი ბაალი ქვეყანას წვიმას ვერ მოუვლენდა, რადგან იგი მხოლოდ წარმართული კერპი იყო და არა ღმერთი[1].

ამ პერიოდში წმ. ელია ღვთის ნებითა და სურვილით მდინარე იორდანეს მახლობლად მდებარე გამოქვაბულში დამკვიდრდა. მისი ადგილსამყოფელი გასაიდუმლოებული

---

[1] ბაალს, როგორც წარმართულ ღვთაებას, ახსენებს დავით აღმაშენებელი თავის ჰიმნოგრაფიულ თხზულებაში. დაეიმოწმოთ ტროპარი: „თაყუანის-ვეც ანგაჰარებისა მამონას, ვითარ-იგი ძუელთა მათ – ბაალს და ასტარტეს და ქამოსს საძაგელსა“ (გრიგოლაშვილი, 2005: 218), რომელშიც ბაალი და ასტარტე სემიტების ღვთაებებია; ბაალი – მზის, ხოლო ასტარტე მთვარის ღვთაებებადაა მიჩნეული. ლაურა გრიგოლაშვილმა საგალობლის ტროპარის განმარტებისას აღნიშნა, რომ თავდაპირველად მათდამი თაყვანისცემა მარტივად, სადა სიტყვებით ხორციელდებოდა, შემდეგში რიტუალი გართულდა, „მეტისმეტად ფუყე და თვალისმომჭრელი წეს-ჩვეულებანი შემოიტანეს. მაგალითად, ქურუმები მსახურებისას ხმამაღლა მოუწოდებდნენ ღვთაებებს, დარბოდნენ და ხტოდნენ საკერპოების ირგვლივ, ზოგჯერ დანებით სხეულს იჩხვლეტდნენ, სისხლში ითხერებოდნენ, საკუთარ შვილებს მსხვერპლად სწირავდნენ და კოცონზე წვავდნენ და სხვ. ებრაელები, რომლებიც წარმართებით იყვნენ გარემოცულნი, ეზიარნენ ამ მავნე ჩვევებს, რისთვისაც მათ ღმერთი მძიმე სასჯელს უქადდა“ (გრიგოლაშვილი, 2005: 218).

იყო და არავის იცოდა. ისრაელში დაიწყო ძლიერი გვალვები, მდინარეები დაშრა, რასაც შედეგად საშინელი შიმშილობა მოჰყვა. მთებში განმარტოებით საიდუმლოდ მყოფ ელიას ღვთის ნებით დილა-საღამოს საკვებს ყორნები უზიდავდნენ, სასმელ წყალს კი ხევიდან თვითონ იღებდა. ღვთის ნებით წმინდანის სასწაულებრივი გამოკვების ბიბლიური ჰიპოდიგმა, კერძოდ, ელიასთვის ყორნების მიერ საკვების მიტანის ჰიპოდიგმა ქრისტიანულ საღვთისმეტყველო ლიტერატურაში, განსაკუთრებით ჰაგიოგრაფიაში, ჰიმნოგრაფიასა და ჰომილეტიკაში, პარადიგმის სახით გადავიდა და ხშირად გამოიყენებოდა როგორც ღვთისნებითობის გამომხატველი ხატ-სახე. ნიმუშად შეიძლება დავიმოწმოთ წმ. შიო მღვიმელისათვის მტრედის მიერ საკვების მიტანის ეპიზოდი. ხანგრძლივმა გვალვამ ბოლოს ხევის წყალიც დააშრო. წმ. ელია შორიახლო მცხოვრებ ქვრივ ქალს მიეკედლა, რომელსაც წინასწარმეტყველის მის საცხოვრებელ სახლში ყოფნის პერიოდში სასწაულებრივად არ ელეოდა ზეთი და ფქვილი. ცხადია, ესეც წმ. ელიას რწმენის, ღვთივსულიერი ქმედებების შედეგი იყო. ამ პერიოდში მან სასწაულიც მოახდინა და ღვთის განგებით სიცოცხლე დაუბრუნა ქვრივის პატარა ვაჟს, რომელიც მძიმე სენით გარდაცვლილიყო (III მეფ. 17, 22). გვალვა საკმაოდ დიდხანს, სამ წელს გაგრძელდა, ისრაელის მკვიდრი მოსახლეობა უმძიმეს გაჭირვებაში აღმოჩნდა, შიმშილობდა. ღვთის ნებით ელია მეფეს ეახლა, რომელმაც რისხვით უსაყვედურა და ელიას ისრაელის აოხრებაში ბრალი დასდო. ელიამ ამპარტავანი მეფე თავის წინაპრებთან და ოჯახთან, მეუღლესთან ერთად უსჯულოებაში, ღვთის მცნებათა დავიწყებასა და წარმართული კერპების აღიარება-განდიდებაში ამხილა, უსაყვედურა, რომ ბაალის გზაზე დადგომამ მოიტანა ეს მძიმე შედეგი (III მეფ. 18, 19). ღვთის ნებით წმ. ელიას წინადადებით, მეფემ შეკრიბა ისრაელის მოსახლეობა, რომელიც ელიამ ცრურწმენაში ამხილა (III მეფ. 17, 22), ხოლო მთაზე შეკრებილ ქურუმებს მსხვერპლის შეწირვა შესთავაზა; ორივე მხარეს ცეცხლის დაუნთებლად უნდა შეეწირა მსხვერპლი თავისი ღმერთე-

ბისათვის. ქურუმებმა ეს ვერ შეძლეს. ელიამ ჭეშმარიტ. ღმერთს ლოცვით მიმართა, ღმერთმა მისი ლოცვა შეისმინა, მოხდა სასწაული და ზეციდან ცეცხლი გარდამოხდა, რომელმაც შეშასა და მსხვერპლთან ერთად სამსხვერპლო ქვაბიც დაწვა. გაოცებულმა ხალხმა ჭეშმარიტი ღმერთი აღიარა (III მეფ. 18, 39). ეს ღვთისაგან შესმენილ ლოცვათაგან ერთ-ერთია, რაზეც ხშირად მიუთითებენ ბიბლიაში ცალკეული ეპიზოდის გადმოცემისას. სწორედ ამის შემდეგ ღმერთმა წმ. ელია წინასწარმეტყველის ლოცვით შიმშილით დაუძლურებულ ისრაელის ხალხს წვიმა მოუვლინა და სიკვდილისაგან იხსნა. მეფემაც მოინანია თავისი ურჯულოება და ჭეშმარიტ რწმენას დაუბრუნდა, მაგრამ მეფის სინანული ხანმოკლე აღმოჩნდა. განრისხებულმა დედოფალმა ელიაზე შურისძიება და მისი სიკვდილით დასჯა გადაწყვიტა. ელია გაიქცა და ისრაელიდან დევნილმა სინას უდაბნოს გავლით ქორების მთებში გამოქვაბულს შეაფარა თავი. აქ ღმერთმა ამცნო, რომ ღმერთი ყოველთვის იცავს თავის კუთვნილ ერში ერთგულ მიმდევრებს და გამოქვაბულიდან გამოიყვანა. მან ღვთისაგან მიიღო ბრძანება, რომ მოეძებნა ელისე, რომლის სახელიც, ელიას სახელის მსგავსად, სიმბოლურია და ებრაულში ნიშნავს შემდეგს: „ღმერთი არის ხსნა“, ან „ღმერთი იხსნის“; ღვთის ნებით მოძებნა კიდეც, მირონი სცხო და თავის შემცვლელ წინასწარმეტყველად დაადგინა. თვით ელია კი ღმერთმა ცეცხლოვანი ეტლით ზეცაში აიყვანა. ეს ეპიზოდი საფუძვლად დაედო ელია წინასწარმეტყველის ცეცხლოვანი ეტლით გამოჩენას გვალვის პერიოდში, ცაზე მის გადარბენას ეტლით და ყოველივე ამის შედეგად წვიმის მოვლინებას.

წმ. ელიას სასწაულთქმედებით წვიმის მოვლინების თაობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში ორი თვალსაზრისია გამოთქმული: 1. ბიბლიური ეპიზოდი წმ. ელია წინასწარმეტყველის შესახებ შეერწყა ხალხურ წარმოდგენებში გავრცელებულ ცეცხლოვანი ეტლით მის გამოჩენას გვალვის დროს, რაც იმას გულისხმობს, რომ გვალვიანობისას წარმართული ღვთაების მისია წვიმის მოვლინებისა უკვე

არსებობდა; 2. ამ ეპიზოდის გავლენით შეეიდა ხალხურ წარმოდგენებში წმ. ელიას, როგორც წვიმის მომავლინებელი წინასწარმეტყველის სახე და გავრცელდა უძველესი დროიდანვე.

ძველი აღთქმის მიხედვით, ცეცხლოვანი ეტლით ზეცად ამაღლებისას ელიამ თავისი მოსასხამი, ანუ ხალენი დედამიწაზე გადმოაგდო და იგი ღვთის ნებით ელისე წინასწარმეტყველის კუთვნილება გახდა. როგორი იყო ელიას ხალენი, ზუსტი ცნობა არ გვაქვს, მაგრამ ბიბლიის კომენტატორები მიუთითებენ, რომ იგი ტყავის მოსასხამი უნდა ყოფილიყო. ძველ აღთქმაში არც იმის შესახებ არის ცნობა, თუ რა ბედი ეწია ელიას მოსასხამს ელისეს შემდეგ. ბიბლიური მონათხრობით, ერთადერთი რამ, რაც შეიძლება ვივარაუდოთ, ისაა, რომ ელიას ხალენი წმ. ელისეს თავის სიცოცხლეში თავად უნდა ჰქონოდა, რადგან სწორედ იგი ჩაენაცვლა წმ. ელიას და ღვთისაგან მისივე მისია, სიმბოლური, სულიერი მისია დაეკისრა. ქართული წყაროები სწორედ ამ ხალენის შესახებ გვამცნობენ, რომ იგი საქართველოში მოაბრძანეს ისრაელიდან დევნილმა ებრაელებმა და მცხეთაში დაფლეს.

წმ. ელია წინასწარმეტყველი ახალ აღთქმაში. ახალი აღთქმა წმ. ელიას საკმაოდ ხშირად ახსენებს, ხშირად განსხვავებული მნიშვნელობით. მეტწილად იგი ჰიპოდიგმურ სახედ გაიაზრება, რომლის საფუძველია მისი წინასწარმეტყველება და სასწაულთქმედება. მათეს სახარების მიხედვით, წმ. ელიას ხატ-სახით წარმოჩენილია იოანე ნათლისმცემელი: „და უკუე თუ გნებავს შეწყნარების, იგი არს ილია, რომელი მოვალს“ (მ. 11, 14); წმ. იოანე ოქროპირმა წმ. ელია იოანე ნათლისმცემლის წინასახედ დაინახა და განმარტა, რომ ორივენი მაცხოვრის, ქრისტეს წინამორბედნი და წინასწარმეტყველები არიან, პირველმა მეორე წინასწარმეტყველის მოსვლა იწინასწარმეტყველა, ხოლო იოანე წინამორბედი//წინასწარმეტყველი//ნათლისმცემელი წმ. ელიას პარადიგმითაა შესაწყნარებელი, რადგან მისი სიტყვა ისევე შესაწყნარებელია, როგორც ელიას სიტყვა და ლოცვა: „შეიწყნარეთ სიტყუაჲ მისი, ვითარცა

ელიადსი, რამეთუ ძალითა მით და სულითა ელიადსითა მოსრულ არს. ვითარცა იგი ქადაგად და წინამორბედად ჭეშმარიტად მეორედ მოსლვისა მომავალ არს, ეგრეთვე ესე ჭეშმარიტი ქადაგი და წინამორბედი მოვიდა ამის მოსლვისად" (წმ. იოანე ოქროპირი, 1996: 261). წმ. ელიას ებრაელთა ჭეშმარიტ რელიგიაზე მოქცევის მისია აკისრია, რაც პარადიგმულად იოანე ნათლისმცემელზე გადადის, რადგან სწორედ მან სცა ნათელი იესოს მდინარე იორდანეში და ნათლისღების ტრადიცია დამკვიდრდა.

ევანგელური სწავლებითვე, მაცხოვარი, იესო ქრისტე არის აღმდგარი წმ. ელია: „ხოლო მათ ჰრქუეს: რომელთამე იოანე ნათლის-მცემელი, რომელთამე ელია, და სხუათა იერემია გინა ერთი წინასწარმეტყუელთაგანი" (მ. 16, 14; აგრ.: მარკ. 6, 15; ლ., 9, 7-8; 18-19), რაც თვით იესომ განუმარტა მოწაფეებს, რომ სხვათა სიტყვით არ უნდა განსაჯონ, არამედ საკუთარი რწმენით უნდა მივიდნენ ჭეშმარიტებამდე. მან გაიხსენა წმ. ელიას ისტორია მას შემდეგ, რაც ნაზარეთში მის მოძღვრებას ხალხის დადებითი გამოხმაურება არ მოჰყოლია, და აღნიშნა, რომ არც ერთ წინასწარმეტყველს თავის სამშობლოში არ იღებდნენ, არ აღიქვამდნენ, როგორც ღვთისგან მოვლენილს. ევანგელურ ეპიზოდს წმ. პეტრე მოციქულის აღიარება განასრულებს: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოვლისად", რაც წმ. იოანე ოქროპირის განმარტებით, იესოს ძედ ღმრთისად სახელდება და აღიარებაა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდი, რომელშიც წმ. ელიას ჰიპოდიგმური სახე ჩანს, ფერისცვალების საუფლო დღესასწაულია, რომელიც ამ დღესასწაულის პირველსახეა, რიგით მაცხოვრის პირველი ფერისცვალებაა (პირველს იმიტომ ვამბობთ, რომ ეს საუფლო დღესასწაული ამ დღეს დაწესდა და იგი ყოველწლიურად მეორდება საუკუნეების სიღრმიდან მოყოლებული). წმ. ელიას ჰიპოდიგმა მოსე წინასწარმეტყველის სახესთან ერთად გასდევს ფერისცვალების ეპიზოდს, როდესაც მაცხოვრის მოწაფეებმა, პეტრემ, იაკობმა და იოანემ, თაბორის მთაზე მზესავით გაბრწყინებულ, თოვლივით სპეტაკი სამოსლით მოსილ იე-

სოსთან ერთად იხილეს ორი წინასწარმეტყველი, მოსე და ელია: „და აჰა ეჩუენნეს მათ მოსე და ელია მის თანა და თანა-ჰზრახვიდეს. მიუგო პეტრე და ჰრქუა იესოს: უფალო, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფად, და თუ გნებავს, ექმნეთ აქ სამ ტალავარ: ერთი შენდა, ერთი მოსესა და ერთი ელიადსა“ (მ. 17, 3-4; იხ. აგრ.: მარკ. 9, 2-8; ლ. 9, 28-36); ფერისცვალებისას მოწაფეებმა მაცხოვარს ჰკითხეს, რატომ ამბობენ მწიგნობარნი, რომ პირველად ელია უნდა მოვიდეს და რას გულისხმობს ეს? „და ჰკითხეს მოწაფეთა მისთა და ეტყოდეს: ვითარ უკუე იტყჳან მწიგნობარნი, ვითარმედ ელიადსა ჯერ-არს პირველად მოსლვად? ხოლო იესო მიუგო და ჰრქუა მათ: ელია მოვიდეს პირველად და კუალადაგოს ყოველი“ (მ. 17, 10-11; იხ. აგრ.: მარკ. 9, 11-13); მაცხოვარმა ფერი იცვალა და მთელი ღვთაებრივი ბრწყინვალებით წარმოჩნდა მოწაფეთა წინაშე, რამაც მათ ზარი დასცა. ახალ აღთქმაში ძველი აღთქმა მოიაზრება როგორც კანონი და წინასწარმეტყველება. ძველ აღთქმაში მოსე და ელია კანონის მცველები და წინასწარმეტყველები არიან, ისინი მესიანური მისიის მატარებლებად გვეელინებიან, რადგან ყველაზე გამოკვეთილი მებრძოლები არიან ისრაელელთა ჭეშმარიტი ღმერთისადმი რწმენის დასამკვიდრებლად, როდესაც ებრაელები ცოდვით დაეცნენ და უღალატეს მამაპაპის ღმერთს, ერთ ღმერთს და წარმართობისაკენ გადაიხარნენ. ახალ აღთქმაში აღსრულდა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველება, მესია მოეევლინა სამყაროს ძე ღმერთის სახით, მაცხოვარია განხორციელებული მესია; ძირითადად წმ. ელიას სახე განიხილება ესქატოლოგიურ კონტექსტში. სიმბოლური სახისმეტყველებით წმ. ელია აპოკალიპსში (რომლის შესახებ ღვთისმეტყველებასა და სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მას ძველი სახით ჩვენამდე არ მოუღწევია, იგი რედაქტირებულია) ღაღადებს სამყაროს აღსასრულის შესახებ და მესიის მოვლინებაზე წინასწარმეტყველებს. წმ. ელიას წინასწარმეტყველის ევანგელურ სწავლებაში მოცემული ხატ-სახე დამოწმებული მუხლების მიხედვით განმარტებულია წმ. იოანე ოქროპირის ეგზეგეტიკურ თხზულებაში „თარგმანებად

მათეს სახარებისად". არც მოსე, არც ელია, არამედ ღრუბლიდან მამა ღმერთის ხმით ეუწყათ ქრისტეს მოწაფეებს, რომ იესო არის ჭეშმარიტი ძე ღვთისა (წმ. იოანე ოქროპირი, 1998: 11). ისევე, როგორც წმ. ელიამ სასწაულქმედებებით აღავსო მორწმუნე ებრაელთა სული, გული და გონება, ასევე, იესო ქრისტეს მოძღვრებით, სასწაულქმედებებით ავლენს ღმერთი თავის მადლსა და შემწყნარებლურ დამოკიდებულებას თავისი რჩეული ერისადმი და ყველა იმ ხალხისადმი, ვინც მის მოძღვრებას მიიღებს და გაჰყვება. მის მიერ ჩადენილი სასწაულები ირგვლივ მყოფთ ძველი აღთქმის სასწაულთა, კერძოდ, წმ. ელიას მიერ ჩადენილ სასწაულთა გამეორებად მიაჩნიათ. იესოს აღიქვამენ მეორე ელიად.

წმ. ელია წინასწარმეტყველი წმინდა მამათა სწავლებებში. უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა მამათა მოძღვრებებში ბიბლიურ, ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთაგან ყველაზე ხშირად იხსენიება წმ. ელია წინასწარმეტყველი, თეზბიტელი, რომლის ხატ-სახის შესახებ, მისი პარადიგმული გააზრების შესახებ მეტად მნიშვნელოვანი განმარტებებია მოცემული; ახალ აღთქმაში, ადრექრისტიანულ საღვთისმეტყველო ლიტერატურაში წმ. ელიას ხშირი ხსენების მიზეზი, ძირითადი საფუძველია მისი წინასწარმეტყველება და საღვთო გზით სიარული. მისი სახის ჩვენება ძველი აღთქმის მონათხრობის, მის მიერ ჩადენილი სასწაულების, წინასწარმეტყველების კვალობაზე იხატება, რაც ალეგორიულად და ტიპოლოგიურ-სახისმეტყველებითად განიმარტება. ძველ აღთქმაში წმ. ელია ესქატოლოგიურ კონტექსტშია წარმოდგენილი, ხოლო ახალ აღთქმაში მისი ცხოვრების ისტორია განმარტებულია, როგორც იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ჰიპოდიგმად, პირველსახედაა გააზრებული, რასაც დაეფუძნა მაცხოვრის სახის შესახებ პატრისტიკული ლიტერატურის ეგზეგეზა.

ღვთისმეტყველი წმინდა მამები წმ. ელიას შესახებ ძველ აღთქმაში მონათხრობ სხვადასხვა ეპიზოდს განმარტავენ. კერძოდ: წმ. კლიმენტი ალექსანდრიელის „სტრომატებში" საუბარია გვალვის პერიოდში წმ. ელიას უდაბნო-

ში გასვლის შესახებ (Clem. Alex. Strom. I, 115; II, 52.1); წმ. გრიგოლ ნაზიანზელის XXI ჰომილია მოგვითხრობს უდაბნოში წმ. ელიას მიერ წყაროს აღმოცენების შესახებ (Greg. Nazianz. Or. 21, 7); ტერტულიანე ახსენებს სარეფთელი ქვრივი დედაკაცის შვილის სასწაულებრივი აღდგინების ამბავს; წმ. ირინეოს ლიონელი მოგვითხრობს კარმელის მთაზე წმ. ელიას ბრძოლას ბაალის ქურუმთა წინააღმდეგ; აგრეთვე, მნიშვნელოვანია ირინეოს ლიონელის საუბარი ღვთისჩენის სიმბოლურ ეპიზოდზე, როდესაც სინას მთაზე ღმერთი გამოჩნდა, მისი თეოფანია წყნარი, ნელი ნიავის ქროლვით („ნიავისა წყლილისაჲ“ – III მეფ. 19, 12) გამოვლინდა. ღვთისმეტყველი მამა შეეხო იმასაც, რომ ღმერთმა გაკვეთილი უჩვენა წმ. ელიას, რომელსაც აწუხებდა ებრაელთა მიერ ჩადენილი უკანონობა; იგი ამ უკანონობას და უსამართლობას ებრძოდა; ღმერთმა მას შთააგონა, რომ ხალხთან უფრო შემწყნარებლური და თავმდაბალი უნდა ყოფილიყო. წმ. კირილე ალექსანდრიელმა ყურადღება გაამახვილა წმ. ელიას საუბარზე აქაბთან მევენახე ნაბუთეს შესახებ, რომელსაც ცოლის, იეზაბელის დაუინებით წაართვა მამაპაპეული ვენახი; წმ. ელიამ ამხილა მეფე უკანონობაში და იბრძოლა მის წინააღმდეგ. მცირე ხნით აქაბმა შეინანა თავისი საქციელი; წმ. კირილე ალექსანდრიელისათვის აქაბის სინანული მისაბაძია, რადგან აქაბმა ცოლის იძულებით ჩადენილი უკანონობა შეინანა და ღვთის მოწყალება დაიმსახურა, ხოლო წმინდა მამამ აქაბის სინანული გულწრფელ სინანულად, ე.ი. გულწრფელი სინანულის მაგალითად მიიჩნია. მაგრამ მისი სინანული დროებითი აღმოჩნდა. იუსტინე ფილოსოფოსის თხზულებებში განსაკუთრებით აქცენტირებულია წმ. ელიას ესქატოლოგიური ხედვა, აგრეთვე, ნაჩვენებია წმ. ელიას მკაცრი პოზიცია ებრაელთა მიმართ ერთი ღმერთისაგან მათი განდგომის გამო; ამ კონტექსტშია განხილული წმ. ელიას წინასწარმეტყველური სახე იესო ქრისტესთან მიმართებით (მართლმადიდებლური ენციკლოპედია, 2009: 236-257).

წმ. ელია წინასწარმეტყველის ცხოვრება, ცხოვრების წესი ქრისტიანთათვის მისაბაძ მაგალითად განიხილეს

ღვთისმეტყველმა მამებმა, კერძოდ, ნეტარმა იერონიმემ, წმ. კლიმენტი რომაელმა, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველმა, რომელთა ყურადღების ცენტრში, ზემოაღნიშნულ ფაქტებთან ერთად, მოექცა წმ. ელიას სასწაულქმედებასთან დაკავშირებული სხვა ბიბლიური ეპიზოდები. მათ ნააზრევში, მათ ქრისტიანულ მსოფლხედვაში წმ. ელიას ზეცად აღსვლის ეპიზოდმა, მისმა ჩაცმულობამ (ბეწვიანი სამოსელი), ხალენმა, ქვრივი დედაკაცის შვილის აღდგინებამ სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა, რადგან ყოველივე ეს აღქმული იქნა მაცხოვრის, იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ეპიზოდების სახისმეტყველებითი საზრისით აღსაქმელად. მისი სახე განიხილება, როგორც განდეგილთა და ბერმონაზონთა წინასახე, მას ხშირად ადარებენ ქრისტიანული რელიგიის გავრცელების პირველი პერიოდის წამებულებსაც, რომლებიც რწმენის სიწმინდისათვის, განმტკიცებისათვის იბრძოდნენ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცია მესამე მეფეთა წიგნის შემდეგმა სიტყვებმა: „ნიავისა წულილისაჲ“, ანუ წყნარი, ნელი ნიავის ქროლვით ღვთის გამოცხადებამ; წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიაში წმ. ელია მოსე წინასწარმეტყველის მსგავსადაა გააზრებული, როგორც მოსეს, ასევე ელიას წინაშე ღვთის გამოცხადების ეპიზოდი ერთმანეთს ჰგავს, რადგან ორივეს სახის დაფარვა მოუხდა ღმერთის გამოცხადებისას, რაც წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველმა ახსნა შემდეგნაირად: ადამიანის წინაშე ღვთის სრული გამოცხადება მხოლოდ ქრისტიანობამ შეძლო და იგი მაცხოვრის, იესო ქრისტეს მოვლინებით განხორციელდა, რის შემდეგაც გამოჩნდა გზა ჭეშმარიტი ღვთის შეცნობისაკენ (Or. 28, 19). გარდა ამისა, წმ. ელია და წმ. ელისე იესო ქრისტესა და მისი მოწაფეების, მოციქულების ჰიპოდიგმური სახეებია, წინასახეებია, მაგრამ სხვაობა დიდია, წმ. ელია ღმერთმა აღამაღლა ზეცად, ხოლო იესო ქრისტე თავად ამაღლდა, რადგან იგი ძე ღმერთია.

წმ. ელია წინასწარმეტყველი ქართულ ჰაგიოგრაფიაში. მნიშვნელოვანია ქართულ ჰაგიოგრაფიაში, ჰიმნოგრაფიასა და ჰომილეტიკაში არსებული სახისმეტყველებითი

ინტერპრეტაციები ელიასა და მისი ხალენის თაობაზე, რადგან ძირითადად ჰაგიოგრაფიაში ელია წინასწარმეტ-ყველის ჰიპოდიგმურად ასახვა ჰაგიოგრაფიული გმირის იმ თვისებებზე ამახვილებს ყურადღებას, რომლითაც ჰაგიოგ-რაფმა მწერალმა უნდა წარმოსახოს ჰაგიოგრაფიის პერსო-ნაჟი. ქართულ ჰაგიოგრაფიაში წმ. ელიას ხატ-სახის სა-ხისმეტყველებითად გამოყენების რამდენიმე ეპიზოდი უნდა გამოვყოთ.[1]

ჰაგიოგრაფიულ თხზულებათაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ასურელ წმინდა მამათა „ცხორებები", რომელთა შორის გამოირჩევა ორი: „წმ. შიოსა და ევაგრეს ცხოვრება" და „წმ. დავით გარეჯელის ცხოვრება", რომ-ლებშიც წმ. ელია წინასწარმეტყველის სახე პარადიგმულ მნიშვნელობას იძენს და თითოეული თხზულების პერსონა-ჟის ღვთაებრივი სრულყოფილების ასასახავად არის მოხ-მობილი. „წმ. შიოსა და ევაგრეს ცხოვრება" გვიამბობს წმ. შიოს შიომღვიმის უდაბნოში დამკვიდრების ისტორიას, რომლის მიხედვით ქვაბში დაყუდებული წმ. შიო მაცხო-ვარსა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ლოცვით მიმარ-თავდა. რადგან იმ მიდამოებში ხორცის სანუგეშებელი არაფერი იპოვებოდა, ღმერთმა მას სასწაული მოუვლინა: „სახიერმან და დაფარულთა მხედველმან ღმერთმან, რო-მელმან გამოზარდა ელია და უდაბნოსა შინა ყორნისა მი-ერ (შდრ.: III მეფ. 17, 2-7) ეგრეთვე წმიდაჲ ესე მამაჲ ჩუენი გამოზარდა, რამეთუ ტრედისა მიერ დღითი-დღე უბოძებდა საზრდელსა, ხოლო მარჯუენით კერძო ქუაბისა მის უბოძა წყალი მცირე კლდისაგან ჴმელისა, რომელი კმა-საყოფელ მისდა იყო" (ძეგლები, 1963/1964: 218). ანალოგიას მკითხვე-ლი მყისვე შენიშნავს. ბიბლიური მონათხრობის წმ. ელიას ჰიპოდიგმური ხატ-სახე პარადიგმადაა წარმოდგენილი წმ. შიო მღვიმელის ცხოვრებისეული სასწაულის ასახვისას, რაც მტრედის მეშვეობით საკვების მიწოდებას გულის-

---

[1]. წმ. ელია წინასწარმეტყველის ჰიპოდიგმური სახის გასააზრებ-ლად უძვირფასესი წყაროა „მოქცევაჲ ქართლისაჲ", რადგან სწორედ აქაა ელიას ხალენის შესახებ ცნობები დაცული, რა-ზეც ქვემოთ საგანგებო საუბარი გვექნება.

ხმობს, ისევე როგორც წმ. ელია იკვებებოდა ყორნის .მიერ. მიწოდებული საკვებით. ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სახისმეტყველება იმ სასწაულთქმედებას ასახავს, რომელიც ძველ აღთქმაში ელიას სიწმინდესა და ღმრთისმხილველობას უკავშირდება, ხოლო „წმ. შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში“ კი ასურეთიდან მოსულ წმინდა მამას აძლიერებს, რათა მან დიდი ლავრის, მამათა მონასტრის დაარსება, ჰომილიათა და საგალობელთა თხზვა შეძლოს. ეს ფაქტი იხილა და სასწაულად აღიქვა ევაგრემ (ძეგლები, 1963/1964: 219), რომელიც თავისი მორწმუნეობითა და სიწმინდით წმ. შიოს მოწაფე და მოძღვრის ზეცად აღსვლის შემდეგ კი ისიც მასავით შიომღვიმის მონასტრის ერთი ძვირფას თვალთაგანი გახდა. ორივე წმინდა მამამ შიომღვიმის მონასტერს სახელი გაუთქვა.

ასევეა „წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების“ ეპიზოდიც წმ. ელიას ბიბლიური ხატ-სახით შემკული. როდესაც წმ. დავით გარეჯელი და მამა ლუკიანე გარეჯის უდაბნოში დამკვიდრდნენ, არც მათ ჰქონდათ ხორცის მანუგეშებელი. ირგვლივ უდაბნო იყო, სადაც მცენარეული საკვები მხოლოდ ზაფხულში შეიძლებოდა მოეძიებინათ. შეწუხებულმა ლუკიანემ შესჩივლა წმ. დავითს, რომ დიდ გასაჭირსა და განსაცდელში აღმოჩნდნენ და როგორ უნდა ენუგეშებინათ თავი. წმ. დავით გარეჯელმა იგი შემდეგი სიტყვებით დაამშვიდა: „ძმაო ლუკიანე, რომელმან იგი უდაბნოს გამოზარდა ერი იგი ისრაჱლთაჲ და კლდისაგან მყარისა წყალი აღმოუცენა და მწყერ-მარჯილი უწვიმა შორის ბანაკისა მათისა, და ელია ყორნისა მიერ გამოზარდა და წმიდისა ანტონის და სხუათაცა მამათა წმიდათა, რომელნი დამკჳდრებულ იყვნეს მთათა და უდაბნოთა შინა და მისცა მათ საზრდელი, იგივე ღმერთი და აწცა შემძლებელ არს მოცემად ჩუენდა საზრდელსა ნუგეშინის-საცემელად ჴორცთა ჩუენთა უძლურებისა“ (ძეგლები, 1963/1964: 230). ასე გაამხნევა წმ. დავითმა მამა ლუკიანე და მართლაც მალევე ღმერთმა მათ ხორცის სანუგეშებლად სამი ირემი მოუვლინა, რომელთა რძით იკვებებოდნენ სადაგ დღეებში.

ბიბლიურ წიგნებში ასახული უსჯულოების ფაქტების მოხმობისას სტეფანე მტბევარმა „წმ. მიქელ-გობრონის წამებაში“ იეზაბელის უსჯულოების წინააღმდეგ წმ. ელიას მხილების შესახებ განაცხადა: „და კუალად დედაკაცმან მან ესახურმან იეზაბელ გარდაამატა უსჯულოებად, რომლითა ელიას ეპატიჟა შურითა საღმრთოდთა ცათა შეკრვად და სიყმილი შემოართუა ისრაჱლსა ზედა, ვითარცა ევა სიკუდილი სოფლად შემოიღო, რომლისათჳს ელია იტყჳს: „რად ძეს ჩემი და სახლსა ამის აქაბისი“ (III მეფ. 17, 18)“ (ძეგლები, 1963/1964: 173).

„წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ აღწერილი შეხვედრა წმ. გრიგოლისა და ხუედიოსისა სახეობრივად მრავალმხრივ დატვირთულია. ერთი ამ სიმბოლურ მნიშვნელობათაგან ყურადღებას იქცევს ხუედიოსის მიმართვა წმ. გრიგოლისადმი: „მიმსგავსებულო ელიადსო და იოვანესო, ნეტარო კაცთა შორის, არს მახლობელად ჩუენსა ქუაბი მცირე, წარმიყვანე მუნ შენ და ძმათა შენთა, რადთა ნეშტი დღეთა ჩემთად აღვასრულო“ (ძეგლები, 1963/1964: 255). წმ. გრიგოლის წმ. ელიას პარადიგმად გააზრება და წარმოსახვა მიზანდასახულია, რადგან წმ. ელიას მსგავსად, რომელმაც ებრაელ ხალხს იმედი შთაუნერგა, წმ. გრიგოლმა ქართველ ერს რწმენა უნდა განუმტკიცოს, აღორძინოს, სამონასტრო მშენებლობისა და სულიერი აღშენების სიხარული განაცდევინოს. ამიტომ მიმართა ხუედიოსმა წმ. გრიგოლს, როგორც წმ. ელიას და წმ. იოვანეს მიმსგავსებულს.

წმ. გიორგი მთაწმინდელი თავისი ჰაგიოგრაფიული თხზულების წმ. იოვანე და წმ. ეფთვიმე მთაწმინდელების „ცხოვრებაში“ (XVI თავი) მოგვითხრობს წმ. იოვანე მთაწმინდელის წინასწარმეტყველების შესახებ, რომელიც სიმბოლური მნიშვნელობისაა და ბიბლიური წმ. ელია წინასწარმეტყველის სასწაულთქმედებას უკავშირდება. წმ. გიორგი მთაწმინდელი გვიამბობს, რომ ერთხელ ათონზე გვალვა დიდხანს გაგრძელდა, ავტორის სიტყვით, ეს უჩვეულო შემთხვევა იყო, რამდენიმე თვის განმავლობაში, მაისის, ივნისისა და ივლისის თვეებში, წვიმა არ მოსულა;

წმ. იოვანე მთაწმინდელმა წმ. ელია წინასწარმეტყველის დღესასწაულის წინ, პირველ აგვისტოს (ძვ. სტ. 20 იულისი, ახ. სტ. 2 აგვისტო) წმ. ეფთვიმეს უბრძანა: „წარიყვანენ ძმანი, და წარვედით ეკლესიასა წმიდისა ელიადსსა და ღამე ათიეთ და ჟამის-წირვად აღასრულეთ“ (ძეგლები, 1967: 68). წმ. ეფთვიმე და ქართველი ბერები ივირონის მახლობლად მდებარე წმ. ელიას სახელობის ტაძრისაკენ წასასვლელად გაემზადნენ, რათა წმ. იოვანეს დავალება აღესრულებინათ. რიცხვმრავალ ბერმონაზვნებს წასვლის წინ წმ. იოვანემ „რეცა განცხრომის სახედ“ საწვიმრების წაღება ურჩია: „ყრმანო, საწუმრები უკუანა წაიღეთ, რამეთუ ვესავ ღმერთსა, რომელ არა შევიქცეთ ამაოდ“ (ძეგლები, 1967: 68). ბერმონაზონთა ნაწილმა წმ. იოვანეს წინასწარმეტყველების მიხედვით საწვიმრები მოიმარჯვეს და წაიღეს, ნაწილმა – არა.

წმ. ელიას სახელობის მონასტერში მისულმა წმ. ეფთვიმემ და ივირონელმა ბერმონაზვნებმა წირვა აღავლინეს. პირველი სახარების კითხვისას უკვე მცირე ღრუბელი გამოჩნდა „ერისონსა ზედა“, ხოლო ჟამისწირვის დასრულებამდე მოიღრუბლა და ზიარების დაწყებამდე ძლიერი წვიმაც წამოვიდა, რომელმაც „დაათრო ყოველი ქუეყანად“ (ძეგლები, 1967: 68). უკან დაბრუნებისას საწვიმრიანი ბერები შინ მშვიდობიანად დაბრუნდნენ, ხოლო ვისაც საწვიმარი არ ჰქონდა, მათ დიდი გაჭირვებით მიაღწიეს მონასტრამდე. ორივე ჯგუფი ღმერთს ჰმადლობდა წვიმის გამო. რა თქმა უნდა, დიდი გვალვის შემდეგ წვიმა ღვთის ნებით, წმ. ელია წინასწარმეტყველის მადლითა და სასწაულთქმედებით წამოვიდა და ეპიზოდს მწერალმა-ჰაგიოგრაფმა რამდენიმე სიმბოლური და სახისმეტყველებითი მნიშვნელობა დააკისრა: 1. თხზულების ამ ეპიზოდის მიხედვით ავტორმა წმ. იოვანე მთაწმინდელის ხატ-სახის სრულყოფილება და წმინდანის წინასწარმეტყველების უნარი წარმოაჩინა. ეპიზოდის სიმბოლურობა იმით გამოიხატა, რომ წმ. იოვანე მთაწმინდელის წინასწარმეტყველებაზე გამახვილდა ყურადღება, რაც წმინდანთა თანამდევი თვისებაა და რასაც ბიბლიურ-ევანგელური სახისმეტყველება განსაზ-

ღვრავს; 2. ეპიზოდი იმას მოწმობს, რომ სასულიერო პირთათვის იუმორის გრძნობაც არ არის უცხო. წმინდა მამის, წმ. იოვანე მთაწმინდელის მიერ იუმორით, ხუმრობით წარმოთქმული გაფრთხილება, ბერებს საწვიმრები წაელოთ, გამოხატულია სიტყვებით „რეცა განცხრომის სახედ", რაც „თითქოსდა ხუმრობით თქმას" გულისხმობს. ამგვარი რამ XIII საუკუნის მოღვაწის, მწერლის აბუსერის ძე ტბელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში შენიშნა რევაზ თვარაძემ. ესაა „ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი", რომელშიც წმ. გიორგის შეწევნით ენაბრგვნილი ბოლოკ-ბასილის მიერ შუარტყლის ტაძრის აშენების ისტორიაა გადმოცემული. წმინდანი ბასილს მისი ენამოჩლექილობის გამო „რეცა განცხრომით" გაეხუმრა და თავადაც ენამოჩლექით დაუძახა: „ბაჩილო". ცხადია, ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში ხუმრობის, იუმორის ამსახველი ეპიზოდები იშვიათია, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ მათი შექმნის ეპოქა, წმ. გიორგი მთაწმინდელმა თავისი თხზულება XI საუკუნეში, 1042-1044 წლებში, შექმნა, როდესაც ბიზანტიის იმპერიაში რელიგიური და ფილოსოფიური სააზროვნო სისტემების დაახლოების აუცილებლობის საკითხი დადგა, რამაც ცოტა მოგვიანებით საქართველოშიც გადმოინაცვლა. რაც შეეხება აბუსერის ძე ტბელის თხზულებას, მისი დაწერისას (XIII ს.) საქართველოში უკვე ჩამოყალიბებულია საერო ლიტერატურა და შექმნილია შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი". ამ წანამძღვრებმა განაპირობა ჰაგიოგრაფიულ ჟანრშიც კი ეპოქალური ღირებულების მქონე ამ სიახლის შემცველი ცვლილებების მცირედ შეჭრა; 3. ეპიზოდის მნიშვნელობა გაზარდა წმ. ელიას სასწაულთქმედებამ, რომელსაც ასევე სიმბოლური ფუნქცია აქვს დაკისრებული. თავის მხრივ, წმ. ელიას მონასტერში ჟამისწირვის შემდეგ და შედეგად წვიმის მოვლინება XI საუკუნეში არსებული ცოდნის დონის გათვალისწინების საშუალებას გვაძლევს. ეპიზოდის მიხედვით ავტორი გვიჩვენებს წმ. ელია წინასწარმეტყველს, როგორც სასწაულთმოქმედს; ეპიზოდში ხალხურ წარმოდგენებზე არ არის საუბარი, არ ჩანს, ხალხური წეს-ჩვეულებები მასში მოიაზრება თუ არა. ამიტო-

მაც გავამახვილეთ ყურადღება წმ. ელია წინასწარმეტყველის სახის სიმბოლურად წარმოსახვაზე, რასაც ბიბლიური სახისმეტყველება განსაზღვრავს. წმ. გიორგი მთაწმინდელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში ირეკლება ბიბლიური გამოცდილება და ცოდნა, რის გამოც წმ. ელია წინასწარმეტყველის წინაშე აღვლენილი ლიტურგია და ლოცვა საკრალურ მნიშვნელობას იძენს, რადგან ესაა ღვთისაგან შესმენილი ლოცვის შედეგად წვიმის მოვლინება ათონის წმინდა მთაზე.

თუ ზემოთქმულს გავითვალისწინებთ და შევაჯამებთ, შეიძლება ითქვას, რომ წმ. გიორგი მთაწმინდელმა თავის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში წმ. ელიას სახე რელიგიური თვალთახედვით დასახა. მისი ხსენების დღეს ქრისტიანული ჟამისწირვის საშუალებით წინასწარმეტყველმა ელიამ შეისმინა ბერმონაზონთა ლოცვა და ხანგრძლივი გვალვიანობის შემდეგ წვიმა მოუვლინა ათონის წმინდა მთას. წმ. გიორგი მთაწმინდელის თხზულების ამ ეპიზოდმა რამდენიმე სიმბოლური დატვირთვა შეიძინა: 1. წმ. იოვანე მთაწმინდელის ხატ-სახეს სრულყოფილება შესძინა, როდესაც მან წმ. ელიასადმი მიძღვნილი ლოცვითა და წირვით, ფაქტობრივად, რელიგიური ჟამისწირვის აღსრულებით, იწინასწარმეტყველა ყველასათვის სასურველი მოვლენა; 2. სრულყოფილად წარმოჩნდა წმ. ელიას ხატ-სახე, როგორც მორწმუნეთა ლოცვის შემწყნარებლისა; 3. წმ. გიორგი მთაწმინდელმა თავისი ეპოქისათვის, ჰაგიოგრაფიული ჟანრისათვის უჩვეულო იუმორის გრძნობით გამსჭვალული წმინდანი პერსონაჟი წარმოაჩინა წმ. იოვანე მთაწმინდელის სახით.

გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „წმ. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“ წმ. გიორგი მთაწმინდელი და წმ. ეფთვიმე მთაწმინდელი გიორგი მცირემ ბიბლიური ელიასა და ელისეს ხატ-სახეს შეადარა, როდესაც წმ. გიორგი მთაწმინდელმა წმინდა მამის, ეფთვიმე მთაწმინდელის მთარგმნელობითი საქმიანობა განაგრძო. გიორგი მცირემ წმ. გიორგი მთაწმინდელი ბიბლიურ-ევანგელურ პერსონაჟთა სახისმეტყველებით წმ. ეფთვიმეს ღირსეულ

მემკვიდრედ დასახა: „ადრე მიცვალებითა მამისა ჩუენისა. არა სრულ იქმნეს წერილნი ჩუენნი, ამისთჳს სახიერებამან ღმრთისამან კუალადცა მოგუანიჭა შემდგომად მოსესსა ისუ, შემდგომად აჰრონისსა ელეაზარა, შემდგომად ელიადსა ელისე, შემდგომად პავლესსა ტიმოთე, და მსგავსადვე მათსა სრულ-ყო ნებად მოძღურისა თჳსისად და ყოველი მის მიერ დაკლებული ამან ნეტარმან მამამან გიორგი სრულ-ყო“ (ძეგლები, 1967: 124). მწერალმა-პაგიოგრაფმა წმ. გიორგი მთაწმინდელის ღვაწლი ქართული მწერლობის განვითარებაში, მთარგმნელობით საქმიანობაში შესაფერისი ჰიპოდიგმურ-პარადიგმული ხატ-სახეებით წარმოაჩინა.

გიორგი მცირემ წმ. გიორგი მთაწმინდელს მეორე ელისე უწოდა და განაცხადა, რომ როგორც ელისემ ატარა ელიას ხალენი მისი ზეცად ამაღლების შესახებ, ისე მეორე ელისემ, ანუ წმ. გიორგი მთაწმინდელმა, ელიას ხალენის მსგავსად, წმ. ეფთვიმე მთაწმინდელის „მარჯვენა იგი განმაცხოველებელი“ მიირქვა და ყველგან თან დაატარებდა, როგორც უძვირფასეს წმინდა ნაწილსა და რელიქვიას, რომელმაც ქართული სააზროვნო სივრცე აღმოავსო თავისი თარგმანებითა და ორიგინალური თხზულებებით. აქ ელია და ელისე მეტაფორადაა მოხმობილი. დავიმოწმოთ ტექსტი: „და მერმე მეორემან ამან ელისე არა თუ ხალენი მოიღო ელიადსი, არამედ ფრიად უმაღლესი და უზეშთაესი მარჯუენე იგი განმაცხოველებელი, მწერალი მაღალთა მათ ღმრთისმეტყუელებათად. ესე აღიღო ნაწილად მკჳდრობისა თჳსისა მრჩობლსა მას თანა და განმაცხოველებელსა სულსა, არა თუ იორდანე განაპო სამგზის ცემითა ხალენისადთა, არამედ ფრიად იორდანისა უმდიდრესნი და ულრმესნი მდინარენი საღმრთოთა წერილთანი წმიდისა მის მარჯუენისადთა განაპნა და ნოტიობისაგან უგულისჴმოებისა დაულტოლველად განვიდა და წყალნი იგი მწარეთა მათ მოძღურებათანი სიტყუათა თჳსთა მარილითა დაატკბნა, და ყრმებრ მბასრობელნი იგი და ძჳრისმზრახველნი უგუნურთა ენანი დაადუმნა“ (ძეგლები, 1967: 131-132). გიორგი მცირემ წმ. ელიასა და ელისეს ხატ-სახეებით წარმოაჩინა წმ. გიორგი მთაწმინდელის ზესთასოფ-

ლად ამაღლება და მისი გარდაცვალების გამო მწუხარება შეადარა ისრაიტელთა მწუხარებას ღმერთის მიერ წმ. ელიას ზეცად აღტაცების შემდეგ, მაგრამ ამავე დროს ნუ-ვეშად ელისე დარჩა ელიას ხალენითურთ, ხოლო წმ. გიორგი მთაწმინდელის ნაცვლად არავინ დარჩა, რაც ავტორმა შემდეგი სიტყვებით გამოთქვა: „და ელისე არა დაშთა", რის გამოც დიდია ტკივილი, რომელიც არ იკურნება. დავიმოწმებ მთელ ეპიზოდს: „მწუხარე იქმნეს ოდესმე ისრაჱლიტელნიცა, რაჟამს-იგი აღიტაცა ზეცად ელია, არამედ ნუგეშინის-სცემდა განშორებასა მისსა ელისე, ხალენითა მოძღურისაჲთა შემკობილი, ხოლო აწ სალმობაჲ ესე ზეშთა არს კურნებისა, რამეთუ ელია ამაღლდა და ელისე არა დაშთა" (ძეგლები, 1967: 191-192). კიდევ ერთი ეპიზოდია თხზულებაში, რომელიც წმ. ელიას სახისმეტყველებითად წარმოსახვით, რომელთან ერთად ბიბლიური პირები თავიანთი ღირსებებით არიან წარმოჩენილნი, გიორგი მცირე წმ. გიორგი მთაწმინდელის სულიერ ხატს გვიჩვენებს. ამ ეპიზოდსაც დავიმოწმებ: „ახალი აბრაჰამ, მშჳდი იგი მსგავსად დავითისა, ბრძენი მსგავსად სოლომონისა, ძჳრუხსენებელი მსგავსად მოსესსა, უბრალოჲ მსგავსად სამოელისა, წმიდაჲ მსგავსად იოსებისსა, უხილავთა მხილველი მსგავსად დანიელისა და მოშურნე სარწმუნოებისაჲ მსგავსად დიდისა ელიაჲსა, უდაბნოჲს-მოყუარე მსგავსად დიდისა წინამორბედისა, ქალწული ჴორცითა მსგავსად მოწაფისა მის საყუარელისა და შეუორგულებელითა სიყუარულითა მსგავსი და მობაძავი პავლე მოციქულისაჲ, რომლისა სათნოებასა მიუთხრობენ მრავალნი ნათესავნი, რომლისა ცხორებასა და მოღუაწებასა განსთქუმენ ერნი და ეკლესიანი" (ძეგლები, 1967: 204-205).

არსენ ბერმა თავის მეტაფრასულ თხზულებაში წმ. ნინოს შესახებ მხედართმთავარი ზაბილონი წმ. ელია წინასწარმეტყველისა და წმ. იოანე ნათლისმცემლის კონტექსტში წარმოაჩინა: „ხოლო ზაბილო, ამღებელმან შურსა ელიაჲსსა და იოანესსა, ყოვლითურთ სრულიად ჯმნილმან სოფლისაგან, განვლო იორდანე და უდაბნოდ განვიდა, მხოლოჲ მხოლოსა ღმერთსა შეუდგა და ჰმსახურებდა"

(ძეგლები, 1971: 14). ზაბილონი წმ. ელია წინასწარმეტყველისა და წმ. იოანე ნათლისმცემლის პარადიგმითაა გააზრებული, როგორც საღმრთო შურის, ღვთაებრივი ბაძვის სურვილით განშორებული სოფელს და უდაბნოში სულიერი სიმშვიდის, სულიერი განღმრთობის მოსაპოვებლად დამკვიდრებული. წმ. ელიასა და წმ. იოანე ნათლისმცემლის სულიერი აღმასვლაა ზაბილონის სულიერი გარდასახვის საწინდარი.

წმ. ელია წინასწარმეტყველი ქართულ ჰიმნოგრაფიაში. რაც შეეხება ჰიმნოგრაფიულ და ჰომილეტიკურ თხზულებებს, მათშიც ხშირია წმ. ელია წინასწარმეტყველის სახისმეტყველებითად წარმოსახვა. დავიმოწმებ X-XIII საუკუნეების ქართველ ჰიმნოგრაფთა თხზულებებს. იოვანე მტბევარმა წმ. ბასილი დიდი-კესარიელისადმი მიძღვნილ საგალობელში წმ. ბასილი შეადარა წმ. ელია წინასწარმეტყველს და იგი საღმრთო შურით აღჭურვილად მიიჩნია, რადგან თავისი საღვთისმეტყველო თხზულებებით იგი მუდმივად ეწინააღმდეგებოდა ერეტიკულ შეხედულებებს და ჭეშმარიტი ქრისტიანული მრწამსის დამკვიდრებას შეუწყო ხელი: „ვითარცა რაჲ ელია, აღეგზენ ცეცხლითა საღმრთოჲთა და შეწოვენ წვალებისა იგი ეკალნი, ღმერთშემოსილო, და ნაყოფი საღმრთოჲ აღაყუავილე ცუარითა მოძღურებისა შენისაჲთა“ (ინგოროყვა, 1913: 99). ამავე საგალობლის სხვა ტროპარში ბაალის ქურუმთა განმდევნელად არის დასახული წმ. ელია: „სამებისა ვედრებითა ცეცხლი სარწმუნოებისაჲ აღაგზენ, ვითარცა ელია, და მღდელნი სიცრუვისანი განჰდევნენ, ვითარცა ქურუმნი ბაალისანი“ (ინგოროყვა, 1913: 101). წმ. კლიმისადმი მიძღვნილ საგალობელში წმ. ელია წინასწარმეტყველის, თეზბიტელის სახე ჰიპოდიგმურადაა წარმოჩენილი წმ. კლიმის სახის, წმინდანური თვისებების წარმოსაჩენად, რომელიც, როგორც ნერგი სამღვდელო, ღირსმა სოფიამ სულიერად აღზარდა და ორმაგი ნაყოფი გამოსცა: „ვითარცა რაჲ სარეფთელი ქურივი ღირს იქმნა გამოზრდად პირველ წინაჲსწარმეტყუელსა დიდსა ელია თეზბიტელსა, ეგრეთვე სოფია ღირსმან აღზარდა სამღდელოჲ იგი ნერგი კლიმი და

მიიღო მან ნაყოფი იგი მრჩობლი მღდელთმოძღურებისა და მოწამებისად“ (ინგოროყვა, 1913: 124).

წმინდა ღმერთშემოსილ მეუდაბნოე მამათადმი მიძღვნილ საგალობელში იოვანე მტბევარი ელია თეზბიტელს, როგორც წინასახეს, არქეტიპს, ჰიპოდიგმას იყენებს მეუდაბნოე მამათა ღვაწლის წარმოსაჩენად: „ცეცხლი საღმთოდსა შურისად საცნაური აღეტყინა გონებასა თქუენსა, ღმერთშემოსილნო, და ვითარცა ელია თეზბიტელი აღმჭელრდით სათნოებისა ეტლთა ზედა და მით მიიწიენით ადგილსა მას საწადელსა და აწ სუფევთ, მამანო, ჴორციითა სწორთა უჴორცოთა“ (ინგოროყვა, 1913: 137). ამავე საგალობელში წმ. ელია თეზბიტელი-წინასწარმეტყველი მეუდაბნოე მამათათვის დასახულია იმის მაგალითად, თუ როგორ დაამხო წმ. ელიამ ბაალის ქურუმები და ჭეშმარიტი რწმენისაკენ მიუთითა ხალხს. ასევე, საღმრთო შურით აღჭურვილმა//აღტყინებულმა მეუდაბნოე მამებმა უღმრთოების ეკალი ჩამოაცილეს მორწმუნეებს: „ცეცხლი საღმრთოდსა შურისად რად აღეტყინა გულსა შიან თქუენსა, მამანო სანატრელნო, სულითა ძლიერითა აღვსებულთა შესწუენით უღმრთოებისა ეკალნი, ვითარცა იგი ელია სამნი ერგასისნი მივლინებულნი და ვნებათა სენნი მოსწყჳდენით, ვითარცა ქურუმნი ბაალისანი“ (ინგოროყვა, 1913: 140). განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მეუდაბნოე მამათადმი მიძღვნილი მეორე საგალობელი, რომლის დასაწყისი სიტყვები მოგვაგონებს ხუედიოსის მიმართვას წმ. გრიგოლ ხანცთელისადმი გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიული თხზულებიდან, „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებიდან“, და მეუდაბნოე მამები წმ. ელიასა და წმ. იოვანეს ხატ-სახეებით შთაგონებულად არიან წარმოდგენილნი: „შური ელიადსი და იოვანესი აღიღეთ თქუენ, ყოვლად საგალობელნო, და სამებისა დამტევნელ იწოდენით ვნებათა მოკუდინებითა, ღირსნო, და სუფევად გამოუთქუმელი მოგაქუნდა, ვითარცა მოციქულთა კეცის-ჭურებითა, მამანო, და განუყოფთ ყოველსა ერსა“ (ინგოროყვა, 1913: 142).

მიქაელ მოდრეკილის ნათლისღებისადმი მიძღვნილ საგალობელში ნათლისღების წმინდა საიდუმლო მოსე და

ელია წინასწარმეტყველთა სასწაულთქმედებების კვალობაზე აღიქმება: „საიდუმლოდ დიდებული და სახწ ნათლისღებისა შენისად, ქრისტწ, წინადასწარ გამოჰსახე მოსეს მიერ, ღმრთისა სიტყუაო, რამეთუ კუერთხითა განაპე ზღუად იგი მეწამული და კუალად ელიადს ძე ხალენითა იორდანე განსავალად კიდობანსა მას შჯულისასა“ (ინგოროყვა, 1913: 207).

წმ. ეფთვიმე დიდისადმი მიძღვნილ ეზრას საგალობელში წმ. ეფთვიმი წმ. ელიას პარადიგმული ხატ-სახითაა წარმოდგენილი: „ელია ამჭედრდა საშინელთა ეტლთა ცეცხლისათა და ჭორცთა აღვიდა უჭორცოთა თანა, ხოლო ნაწილნი შენნი, ღირსო ეფთჳმი, მოგუენიჭნეს წყლულებათა ჩუენთა საკურნებელად და შენ ცატა შინა სულითა მარადის ჰნათობ წინაშე ღმროისა“ (ინგოროყვა, 1913: 160); „ძლიერი შური გაქუნდა შენ ვიათარცა ელიას, პატიოსანო მამაო, რამეთუ აღეგზენ ვითარცა ცეცხლი საღმრთოდ მწვალებელთა ზედა და შეწუენ ენანი მათნი“ (ინგოროყვა, 1913: 161).

წმ. ილარიონისადმი მიძღვნილ საგალობელში ზოსიმე მთაწმინდელი წმინდა მამას წმ. ელიას, პირველ ელიას, ადარებს, რომელიც ხალენით აღმაღლდა ზეცად და თავის მოწაფესთან ერთად სასწაულებს იქმოდა: „იქცეოდე, სანატრელო, სოფელსა ამას შინა, ვითარ პირველ ელია, იწროებითა ჭორცთადთა, რომლისა იგი შემდგომად ამაღლებისა ხალენითა მისითა მოწაფე იგი მისი სასწაულთა იქმოდა, ხოლო აქა შემდგომად სიკუდილისა შენისა სამოსელიცა შენი პირად-პირადთაგან სენთა გულემულთა მადლითა შენითა განჰკურნებდა“ (ათონის კრებული, 1901: 184). მეორე საგალობლის ერთ-ერთ ტროპარში წმ. ილარიონი მოსეს, დავითის, ელიას, პავლეს კონტექსტშია წარმოჩენილი და მათ მსგავს წმინდანად არის დასახული: „სათნოებათა დიდთა საუნჯედ გამოსჩნდი, სანატრელო, და მიემსგავსე პირველთა გამოცდილთა, რამეთუ შეიტკბე სიყრმითგან სიმშჯდე იგი მოსესი და დავითის ძჯრუხსენებლობად, და ელიადსი მოღუაწებად და სრული უპოვარებად, და მსგავსად პავლესსა სიყუარული ყოველთა მიმართ მო-

გეგო, მამაო, და ესრეთ საქმითა მოღუაწებითა შენთაჲთა, ვითარცა რაჲ ეტლითა, აჰმაღლდი წინაშე სამებისა; მამაო ილარიონ, მეოხ გუაყავ ჩუენ, შემსხმელთა შენთა“ (ათონის კრებული, 1901: 185-186).

ᲮᲝᲡᲘᲛᲔ მთაწმინდელის საგალობელში, რომელიც წმ. ეფთვიმე მთაწმინდელს ეძღვნება, წმ. ეფთვიმე მთაწმინდელი შედარებულია ბიბლიურ პერსონაჟებთან, ელია და იობ წინასწარმეტყველებთან. ელია წინასწარმეტყველთან შედარებას საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ბიბლიური ელია, საგალობლით – „პირველ ელია“, ღვთის დაფარულს, საიდუმლოს ჩასწვდა, რისთვისაც ზეცად ამაღლდა ეტლით: „ეტლითა მით სათნოებათაჲთა აჰმაღლდი, მამაო, ზეცისა კამარათა, ვითარ პირველ ელია, და აჰხედ სიმაღლედ სამებისა წმიდისა განცდად ხედვათა მიერ მაღალთა თუალითა სულისაჲთა და განიცადენ განგებულებისა ღუთისა საიდუმლონი დაფარულნი და ეკლესიისა შვილთა მოჰფინე მდიდრად ნაოელი მეცნიერებისაჲ“ (ათონის კრებული, 1901: 202). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამავე საგალობლის ის ტროპარი, რომელიც წმ. გიორგი მთაწმინდელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში აღწერილ გვალვიანობასთან დაკავშირებულ ეპიზოდს ეხმიანება: „ღრუბელთა წყმად უბრძანე შენ, მამაო, ვითარ პირველ ელია, შესწირე რაჲ მსხუერპლი სიტყუერი, და ლოცვითა შენითა დაათრვენ მდიდრად ურნატნი, ეფთუმი სანატრელო, და მოსცა ქუეყანამან ნაყოფი“ (ათონის კრებული, 1901: 206). ამავე თემას ასახავს წმ. ეფთვიმე მთაწმინდელისადმი მიძღვნილი ეზრა მთაწმინდელის საგალობელიც: „ელიას მსგავსად მოგეცა ჴელმწიფებაჲ ღრუბელთა ზედა, დიდებულო ეფთუმი, რაჟამს სიტყუთა მამისა შენისაჲთა შეწირე ლოცვაჲ ღუთისა მიმართ ძალთაჲსა და მოსცა წყმაჲ სამკუდრებელსა თუსსა“ (ათონის კრებული, 1901: 195).

ეფრემ მცირემ მრავალმხრივ მნიშვნელოვან, სახიმეტყველებითად დატვირთულ თავის იამბიკოში აღნიშნა: „იწოდე რა ელიასებრ თეზბიტელ ქადაგ / ქუენაჲთ ზენად მართ ჴელ შენი განირთხ..“ (ქართული პოეზია, 1979: 150-151).

იოვანე შავთელი თხზულებაში „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“ წმ. ელიას სხვა ბიბლიურ პერსონაჟებთან ერთად მოიხსენიებს და წარმოაჩენს მის სულიერ მისიას, როგორც რწმენის მქადაგებლისა და დამცველისა, პირველსიკვდილისაგან მხსნელისა: „ოხათა შენთა ძლიერებითა ვიჴსენ / ბავთისა ვითარცა მისგან დილეგისა, ვითარცა / ელიადს მიერ პირველ სიკუდილისაგან / ლოცვითა იჴსენ იონა, უბიწოო, / ოჴერ იქმნეს რად ბორკილთა სიმტკიცენი“ (სულავა, 2003: 303).

ცნობები წმ. ელია წინასწარმეტყველის ხალენის შესახებ ქართულ წყაროებში.[1] წმ. ელია წინასწარმეტყველის ხალენის შესახებ ჩვენამდე მოღწეულ წყაროთაგან უძველესი არის თხზულება „მოქცევად ქართლისად“, რომლის რედაქციები განსხვავებულ ვერსიებს ინახავს და მოგვითხრობს. მსჯელობა დავიწყოთ თხზულების ქრონოლოგიურად ყველაზე ადრე აღმოჩენილი შატბერდულ-ჭელიშური რედაქციით, თუმცა, გადაწერის თვალსაზრისით მას წინ უსწრებს „მოქცევად ქართლისადს“ რედაქცია, რომელიც 1990 წელს სინას მთის წმ. ეკატერინეს სახელობის ქართულ მონასტერში იქნა აღმოჩენილი (Sin.50). შატბერდულ რედაქციაში ელიას ხალენის შესახებ მოგვითხრობს აბიათარის ასული სიდონია და შემდეგ ცნობას გვაწვდის: „თუნიერ ესე მესმა მამისა ჩემისაგან: არს სხუადცა ძალითა შემოსილი, მრჩობლი იგიცა, ხალენი ელიადსი ამას ქალაქსა შინა, ჴელთა ჩუენთა, საკურთხეველისა სიმტკიცესა ქუეშე, ქვათა შინა ულპოლველად ვიდრე ჟამადმდე მისა“. რამეთუ მრავალგზის მაბირა მე დედამან ჩემმან ნინო მამისა ჩემისა მიმართ, რადთა გამოვსწულილო ადგილი იგი სამოსლისად მის გულითად. ხოლო მან ესთენ დადვა ნაწი-

---

[1] წმ. ელია წინასწარმეტყველის ხალენის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული: 1. ელიას ხალენის შესახებ წყაროები არ შემონახულა და იგი არარეალურ ფაქტად. აღიქმება; 2. წერილობითი წყაროების მიხედვით, ელიას ხალენი საქართველოში მოხვედრილა და იგი მცხეთაშია დაფლული. ამ საკითხს შეეხო ე. ბუბულაშვილი საქართველოში დაცული სიწმინდეებისადმი მიძღვნილ ნაშრომში.

ლი ჩემ თანა და მრქუა: „აქა არსო ადგილი სამარხეოდ მისიო, რომელსა ენანი კაცთანი არა დადუმნენ გალობად ღმრთისა მიმართ, მას ზედა არს ადგილი იგი, ვითარცა ადგილი იაკობისი კიბედ ხილული და ზეცად აღწევნული ამიერითგან და უკუნისამდე, დიდება და ქება მოუკლებელ“ (ძეგლები, 1963/1964: 130). სხვა რედაქციებში უფრო ძუნწი ცნობებია დაცული. ჭელიშურ ვარიანტშიც იგივეა გადმოცემული, ოღონდ შატბერდულთან შედარებით თხრობა უფრო მოკლეა: „თუნიერ ესე მესმა მამისა ჩემისაგან: არს სხუადცა ძალითა შეძოსილი, მრჩობლი იგიცა, ხალენი ელიადსი ამას ქალაქსა შინა, ჭელთა ჩუენთა, საკურთხეველისა სიმტკიცესა ქუეშე, ქვათა შინა ულპოლველად ვიდრე ჟამადმდე მისა“ (ძეგლები, 1963/1964: 130).

შატბერდულ-ჭელიშური რედაქციის ამ ეპიზოდში რამდენიმე საკითხი იქცევს ყურადღებას. კერძოდ: 1. აბიათარის ასულს, სიდონიას, ელიას ხალენის ამბავი მამისაგან სმენია; 2. ელიას ხალენი ამ ქალაქში, ე.ი. მცხეთაშია დაცული და საკურთხევლის ქვეშ ულპოლველად, ქვებს შორის ინახება; 3. მაცხოვრის კვართის ადგილსამყოფელიც ელიას ხალენის მახლობლადაა, რაც წმ. ნინოსთვის ცნობილი გახდა აბიათარის ასულის, სიდონიას მეშვეობით; წმ. ნინომ სთხოვა სიდონიას, რათა მამისაგან შეეტყო ელიას ხალენის ადგილსამყოფელი; 4. სიდონიამ მამისაგან იცოდა, რომ ელიას ხალენის სამარხეო ადგილი აქაა, რომელიც „სამარხეოდ“ იხსენიება, მასზე აღევლინება გალობა ღვთის მიმართ და მისი ეს „სამარხეო“, განსასვენებელი შედარებულია იმ ადგილთან, სადაც იაკობის კიბე გახდა ხილული და ცად აღწევნილი; 5. საგულისხმოა, რომ ორივე, შატბერდულსა და ჭელიშურ ხელნაწერებში, ელიას ხალენისა და მაცხოვრის კვართის დაფლვის ადგილი მითითებულია, როგორც მრჩობლი, რაც ამ რედაქციის ცნობას განსაკუთრებულ ღირებულებას აკისრებს, რადგან მრჩობლობა ორივე სიწმინდის ერთად, ახლო-ახლო განსვენებას მიუთითებს.

ბოლოს აღმოჩენილ, კერძოდ 1990 წელს აღმოჩენილ, სინურ რედაქციაში წმ. ნინო მირიანს მიმართავს: „მე ვხე-

დავ, რამეთუ არს ამას ქალაქსა შინა სასწაული ერთი: სამოსელი იგი ძისა ღმრთისაჲ აქა არს, და ხალენისაჲ მის ელიაჲსაჲ ყოფაჲ თქუესვე ვიეთმე აქავე და მრავალნი სასწაულნი არიან აქა, რომელნი თუთ ღმერთმან გაუწყნეს" (ალექსიძე, 2009: 357). ე.ი. სინური რედაქცია მხოლოდ იმას მიუთითებს, რომ ამ ქალაქში, ე.ი. მცხეთაში, არის სასწაული, ესაა მაცხოვრის სამოსელი, მაგრამ არის კიდევ ერთი გარემოებაც, უცნობ პირთა მიერ მოთხრობილია ელიას ხალენის აქვე მკვიდრობის ამბავიც.

თავის საისტორიო თხზულებაში მაცხოვრის სამოსელთან, კვართთან ერთად ლეონტი მროველიც ახსენებს ელიას ხალენს, იგი, ფაქტობრივად, თითქმის იმეორებს სინური რედაქციის სიტყვებს: „სამოსელი ძისა ღმრთისა აქა არს, და ხალენისა მის ელიაჲსი აქავე ყოფა" (ქართლის ცხოვრება, 1955: 107). ცხადია, ლეონტი მროველის ცნობა მაცხოვრის კვართისა და ელიას ხალენის საქართველოში მკვიდრობის შესახებ მომდინარეობს „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ტექსტიდან, რადგან თვით ლეონტი მროველის საისტორიო თხზულების წყარო არის „მოქცევაჲ ქართლისაჲ".

ნიკოლოზ გულაბერის ძე მხოლოდ წმ. ელია წინასწარმეტყველს ახსენებს და ხალენის შესახებ დეტალურად არ საუბრობს, მაგრამ საგალობელში „გალობანი სუეტისა ცხოველისანი" ელიას ხალენი მოიხსენიება არა მხოლოდ მაცხოვრის კვართის, არამედ ძველი და ახალი აღთქმის პერსონალიათა, კერძოდ, აარონის, მოსეს, ელიას, იოანეს, პეტრეს და პავლეს, სამოსელთა პარალელურად. დავიმოწმებ საგალობლის ტროპარს: „გიხაროდენ, ჰ კუართო გამოუთქმელო ქებათა კაცობრივთა ენათაგან, რამეთუ უკუეთუ მონათა საგრაგნელნი ესრეთ იდიდებიან ვიდრემე, ვითარცა საცნაურ არს აჰრონის შესამოსელთათჳს, მოსეს პირის საბურველისათჳს, ელიაჲს და იოანეს ხალენისათჳს, პეტრეს და პავლეს სუდარ-ვარშამანგებისათჳს. ვინ-მე უკუე შეუძლოს შესხმად დიდებისა შენისა, რომელსა ცანიცა ვერ დაიტევენ, თუთ ღმერთი იგი, დამბადებელი ყოველთაჲ, შენ შორის სათნო-ყოფით დატევნულობდა. ჰ სამგზის სანატრელო კუართო საღმრთოო, რამეთუ თუთ მებრ ესე

ოდენ კმა არს შენდა ქებად ღირსებით სახელისდებად ოდენ ღმრთისა კუართობისაჲ შენ შორის, კუართო საღმრთოო და საუფლოო!“(ნიკოლოზ გულაბერის ძე, 2007: 61) სამოსლის სიმბოლიკით დატვირთულ ამ ტროპარში იხსენიება აარონის შესამოსელი, მოსეს პირის საბურველი, ელიას ხალენი, იოანეს ხალენი, პეტრესა და პავლეს სუდარ-ვარშამანგები. მეორე ტროპარიც მნიშვნელოვანია, მაგრამ მასში არაა სამოსელზე საუბარი. დავიმოწმებთ ამ ტროპარსაც: „გიხაროდენ, ȣ სუეტო ნათელო, რომელი ძისა ღმრთისა დიდებასა ღმრთეებისასა საკჳრველობით მწამებელ ექმენ, რაჟამს თაბორს ჰკრთებოდე, ნათელთმფლობელსა მას ზედა იესუ ღმერთ-კაცსა მეორედ მოსლვასა მაუწყებლობდა რაჲ, რამეთუ ჭჳრობამან დიდებისა შენისამან თავნი იგი მოციქულთანი ძესა ზედა ღმრთისასა უცხოსახედ მხილველნი რეცა უსულოქმნით მოუთმენლობდეს ზარგანჴდილნი ერთბამად ნათლისაგანცა დიდებისა შენისა და ოხრისაგანცა მოსეს და ელიაჲსასა და კუალად იორდანესცა, რაჟამს წყალთა შინა ცოდვასა კაცთასა დაანთქმიდა, ხოლო ყოველივე დიდებაჲ მისვე ღმრთის მიერ იხილვებოდა!“ (ნიკოლოზ გულაბერის ძე, 2007: 61).

„ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლისეულ რედაქციაში, ასევე ჭალაშვილისეულ ნუსხაში, სიდონიას მონათხრობიდან: „და ესეცა მეუწყა მამისაგან ჩემისა ვითარმედ: არს სხუასა ძალითა შემოსილი მრჩობლი იგი ხალენი ელიასი ამას ქალაქსა შინა და ჴელითა ჩუენითა საკურთხეველისა სიმტკიცესა ქუეშე ქჳთა უპოვნელად ვიდრე ჟამად მისსა“ (ქართლის ცხოვრება, 1955: 107; თაყაიშვილი, 2018: 65); იქვე წერია: „და ხალენის ელიასი აქავე არს ყოფად“ (თაყაიშვილი, 2018: 71); „ქართლის ცხოვრების“ რამდენიმე ეპიზოდში წმ. ელია წინასწარმეტყველი ბიბლიური ჰიპოდიგმური სახითაა წარმოდგენილი (ქართლის ცხოვრება, 1955: 210; 253; თაყაიშვილი, 2018: 270, 324; 419; 664-665); ვახტანგ მეექვსის სწავლულ კაცთა კომისიის ტექსტის ყველა ეპიზოდი მისდევს მარიამ დედოფლისეული ტექსტის ვარიანტებს (ვახტანგისეული რედაქცია, 2017: 90; 94; 260).

საყურადღებოა XVIII საუკუნის ისტორიკოსის ვახუშტი ბატონიშვილის ცნობაც, რომელიც მიუთითებს ელიას ხალენის მცხეთაში დავანებას და მირიან მეფის დროს კი მაცხოვრის კვართის დაფლვის ადგილას ტაძრის აშენებას, ისიც აღნიშნულია, რომ კვართი ელიოზ მცხეთელის მიერ ყოფილა მობრძანებული: „ხოლო მირიან აღაშენა ეკლესია (ე.ი. სვეტიცხოველი) მოციქულის მისი სამოთხესა თვისისა, სადაც არის კვართი უფლისა, რომელი მოიღო ელიოზ და ხალენი ელიასი" (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973: 62). ვახუშტი ბატონიშვილი ერთად ახსენებს ორ წმინდა სამოსელს: ელიას ხალენს და მაცხოვრის კვართს.

ელიას ხალენი სახისმეტყველებითად გააზრებულია გვიანი შუა საუკუნეების მხატვრულ ლიტერატურაშიც, მაგ., არჩილ მეფის პოეზიაში, დავით გურამიშვილთან და სხვა ავტორთა მემკვიდრეობაში.

ეს წყაროები მოწმობს, რომ მაცხოვრის კვართი და ელიას ხალენი მათში ერთად იხსენიებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ელიას ხალენის დამკვიდრება საქართველოში მაცხოვრის კვართის დავანების წინასაფეხური იყო, შედეგად კი საქართველოში ორმა უდიდესმა სიწმინდემ დაიდო ბინა.

ზემოთ დამოწმებული ყველა ცნობა მიუთითებს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ფლობს ძველი აღთქმის ერთ-ერთ უდიდეს სიწმინდეს – წინასწარმეტყველ ელიას ხალენს, მოსასხამს, რომელიც ჩვენში ქრისტეს შობამდე რამდენიმე საუკუნით ადრე მოაბრძანეს იერუსალიმიდან დევნილმა ებრაელებმა.

ძველი წყაროებიდან არაა ცნობილი, თუ რომელ საუკუნეში და რა ვითარებაში მოხვდა საქართველოში ელიას ხალენი, შესაბამისად, არც სამეცნიერო ლიტერატურაშია გარკვეული მისი საქართველოში მოხვედრის ისტორია. ქართული წყაროების გარდა, ელიას ხალენის ადგილსამყოფელის შესახებ არც სხვა ქვეყნების სიტყვიერი კულტურის ნიმუშები გვამცნობენ რაიმეს, ხოლო ქართული წყაროები, როგორც ვნახეთ, მწირ ცნობებს გვაწვდიან. უფლის კვართისაგან განსხვავებით, ელიას ხალენის მცხეთაში მოხ-

ვედრის ისტორია უცნობია ქართული საისტორიო და ლიტერატურული თხზულებებისათვის. ქართული წერილობითი წყაროები ელიას ხალენის თაობაზე არაფერს მოგვითხრობენ. მაგრამ ერთი რამ კი ჩანს, რომ, ქართული წყაროების ცნობით, საუკუნეების განმავლობაში ელიას ხალენს მცხეთაში მცხოვრები ქართველი ებრაელები საიდუმლოდ ინახავდნენ და მხოლოდ „სამარხოს" ახსენებდნენ.

სამეცნიერო ლიტერატურაში ნავარაუდებია, ხალენის საქართველოში მოხვედრის თარიღი და ადგილი სხვადასხვა მიზეზის გამო გასაიდუმლოებული უნდა ყოფილიყო და ბოლომდე ასეც დარჩა. ცნობილი ფაქტია, რომ ებრაელები ძველი აღთქმის სიწმინდეებს საგანგებოდ ასაიდუმლოებდნენ და დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ, რათა ისინი უცხო ტომის წარმომადგენლებს არ ჩავარდნოდათ ხელთ და არ წაებილწათ, მათ მიერ ხელყოფისაგან დაეცვათ. ამიტომ წინაპართა ტრადიციული დამოკიდებულება სიწმინდეთა გასაიდუმლოების შესახებ იერუსალიმიდან დევნილმა ებრაელებმა, რომლებიც საქართველოში დამკვიდრდნენ, აქაც დაიცვეს და დევნილობის დროს ამგვარი სიწმინდეების შენახვის ადგილი საგანგებოდ დამალეს. თუმცა, თავად ებრაელებმა ყოველი სიწმინდის შესახებ იცოდნენ, თუ სად რა ინახებოდა და თაობებს გადასცემდნენ, რათა საიდუმლოების ცოდნა არ დაკარგულიყო. მხოლოდ IV საუკუნეში, წმ. ნინოს ქართლში მისიონერული მოღვაწეობისას, წმ. ნინოსავე თხოვნით, გაამხილეს ქართველმა ებრაელებმა თავიანთი საიდუმლო, რაზეც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში არ საუბრობდნენ. IV საუკუნეში საქართველოში მოღვაწე ებრაელის, მღვდელ აბიათარის ასულმა, სიდონიამ, თავის წინაპართა ნაანდერძევი ელიას ხალენის შესახებ ნაწილობრივ გაამხილა და განაცხადა, რომ ელიას ხალენი მცხეთაში იყო დაფლული. მისი განმარტებით, რაც ზემოთაც დავიმოწმეთ, „არს სხუაცა ძალითა შემოსილი მრჩობლი იგიცა, ხალენი ელიაჲსი ამას ქალაქსა შინა" (ძეგლები, 1963/1964: 130). მაგრამ თუ რა ვითარებაში, როდის მოაბრძანეს საქართველოში ძველი აღთქმის ეს სიწმინდე, ქართული წერილობითი წყაროები ამის

თაობაზე არაფერს ამბობენ. როგორც ჩანს, იმ დროისათვის, როდესაც ელიას ხალენის შესახებ ცნობა შეიტანეს ქართულ ლიტერატურულ და საისტორიო წყაროებში, ცოდნა მისი ადგილსამყოფელის შესახებ უკვე დაკარგული უნდა ყოფილიყო. აგრეთვე, უცნობი იყო ის წყაროებიც, რომლებშიც ასე თუ ისე რაიმე შეიძლებოდა შემორჩენილიყო.

„მოქცევაჲ ქართლისაჲში" ელიას ხალენის განსასვენებელი ბიბლიური იაკობის ადგილთან არის შედარებული: „მას ზედა არს ადგილი იგი, ვითარცა ადგილი იაკობისი კიბედ ხილული და ზეცად აღწევნული ამიერითგან და უკუნისამდე, დიდება და ქება მოუკლებელ" (ძეგლები, 1963/1964: 130). აღნიშნული შედარება ელიას ხალენის „სამარხო", ანუ დაცულობის ადგილს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქართულ წერილობით წყაროებში, მართალია, არაა აღნიშნული, ვის მიერ და რომელ საუკუნეებში მოაბრძანეს ელიას ხალენი საქართველოში, მაგრამ ქართული ეკლესიის ტრადიციით მიჩნეულია, რომ იგი მცხეთაში ქრისტეს შობამდე იერუსალიმიდან დევნილმა ებრაელებმა შემოიტანეს.

ქართული საისტორიო წყაროები მიუთითებენ, რომ იერუსალიმიდან საქართველოში ქრისტეს შობამდე დევნილ ებრაელთა რამდენიმე ნაკადი შემოვიდა. პირველი ნაკადი მცხეთაში ძვ. წ. 586 წლის ახლო ხანებში უნდა შემოსულიყო და ამას უკავშირებდნენ ნაბუქოდონოსორის მიერ იუდეის სამეფოს აოხრებას. ებრაელთა საქართველოში ჩამოსახლება კიდევ რამდენჯერმე გამეორდა შემდგომ საუკუნეებშიც. ქართულ საისტორიო წყაროებში არ ჩანს, თუ რომელ ნაკადს უნდა ჩამოეტანა ელიას ხალენი საქართველოში. ეს იმის ბრალიც შეიძლება იყოს, რომ X საუკუნემდე ქართული საისტორიო თხზულებები არც მოგვეპოვება. „მოქცევაჲ ქართლისაჲ" გვაუწყებს, რომ ახ. წ. I საუკუნის 30-იან წლებში, ალბათ 34 წელს, როდესაც სავარაუდებელია საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა, მცხეთელ ჰურიათა, ელიოზ მცხეთელისა და ლონგინოზ კარსნელის მიერ იერუსალიმიდან საქართველოში მაცხოვრის კვართის ჩამოტანა, რომელიც მცხეთაში ელიას ხალენის მახლობლად

დაიფლა ელიო'ს მცხეთელის დასთან ერთად, რომელმაც ძმის მიერ ჩამოტანილი უფლის კვართი მიირქვა და გარდაიცვალა. კვართი ქალწულს ხელიდან ვერ გამოუღეს, რის შემდეგაც იგი უფლის კვართთან ერთად დაფლეს.

ასე აღმოჩნდა ძველი და ახალი აღთქმის ორი უდიდესი სიწმინდე ერთმანეთთან ახლოს დაფლული, ხოლო მათი ერთმანეთის მახლობლად განსვენება უდიდესი საკრალური მნიშვნელობის მქონე ფაქტად აღიქვა ქართულმა ცნობიერებამ, რაც საკმაოდ აისახა ქართულ საისტორიო და ლიტერატურულ წყაროებში. ელიას ხალენი არის ძველი აღთქმის სიმბოლური გამოხატულება და წინასწარმეტყველებს ახალი სიმბოლური საკრალური ნივთის მომავალში დამკვიდრებას საქართველოში, ხოლო ახალი წმინდა, სიმბოლურ-საკრალური ნივთი კი უფლის კვართია, რომლითაც გაცხადდა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველება მისივე სიმბოლოთი – ელიას ხალენით. მცხეთაში, რომელსაც ძველი ქართული წყაროები საქართველოდ გაიაზრებენ, ელიას ხალენისა და უფლის კვართის არსებობა ძველი აღთქმის დასასრულსა და ახალი აღთქმის დასაწყისს მოასწავებს. ლ. პატარიძის აზრით: „ელიას ხალენის მცხეთაში არსებობა ელიას მეორედ მოსვლის მინიშნებაა და აქედან გამომდინარე, მის მიერ უფლის მეორედ მოსვლის წინასწარმეტყველების და თვით განკითხვის დღის დადგომის მომასწავებელია“ (პატარიძე, 1987: 112).

ზემოთ არაერთგზის ითქვა, რომ ელიას ხალენის ზუსტი განსასვენებელი ადგილი უცნობია; ქართული წყაროებში დაცული ცნობის მიხედვით, ელიას ხალენი და უფლის კვართი ერთმანეთთან ახლოსაა დაფლული; სამეცნიერო ლიტერატურაში ორგვარი მოსაზრება არსებობს: 1. ძველი აღთქმის უდიდესი სიწმინდე, ელიას ხალენი, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში უნდა განისვენებდეს. ამ მოსაზრებას, წერილობით წყაროებთან ერთად, რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივ მიუთითებენ ძველი აღთქმის სიწმინდის მცხეთაში არსებობას, მხარს უჭერს საეკლესიო ზეპირი ტრადიცია, რომელიც სვეტიცხოვლის ტაძრის საკურთხევლის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სათავსოს

უთითებს წმ. ელიას ხალენის განსასვენებელ ადგილად; 2. ელიას ხალენი ტაძრის გარეთაა დაფლული.

ისრაელიდან დევნილი საქართველოში მოსული ებრაელები არ მიუთითებდნენ მცხეთაში ელიას ხალენის განსასვენებელ ადგილს. მართალია, „მოქცევაჲ ქართლისაჲს" შატბერდულ რედაქციაში ნახსენებია, რომ იგი ინახება საკურთხevლის „ქვათა შინა ულპოლველოდ ვიდრე ჟამადმდე მისა" (ძეგლები, 1963/1964: 130), მაგრამ ზუსტი მითითება არაა; ტექსტში ისიც აღნიშნულია, რომ მისი გამოჩინების დრო ჯერ არ დამდგარა (შატბერდის კრებული, 1979: 341).

დასკვნები და შედეგები:

საქართველოში წმ. ელია წინასწარმეტყველისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება იმან განაპირობა, რომ ქართლში, მცხეთაში უძველესი დროიდან ინახებოდა წმ. ელია წინასწარმეტყველის მოსასხამი. სავარაუდოდ, ეს ფაქტიც უნდა დადებოდა საფუძვლად ქართულ ონომასტიკაში ელია-ილიას სახელის დამკვიდრებას, რაც მოწმობს იმას, რომ ეს სახელი ქართულ წერილობით წყაროებში უძველესი დროიდან გვხვდება. ასევე, უაღრესად მნიშვნელოვანია ხალხური რწმენები და გადმოცემები, რომლებშიც ელია//ილია ღრუბელთა წინამძღვარია, რომელიც ცეცხლოვანი ეტლით დაქრის ზეცაში და განაგებს სეტყვას, ელვას, ქუხილს, წვიმას, გვალვას. ეს თემა საკმაოდაა დამუშავებული სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელშიც ორგვარი მოსაზრებაა გამოთქმული: 1. იგი ქართული წარმართული ღვთაებაა, 2. მეცნიერთა ნაწილი კი ბიბლიურ ელიას უკავშირებს მის სახელსა და ქმედებებს (სურგულაძე, 2003: 275-279). სტატიის მიზანია წმ. ელიას შესახებ წერილობითი წყაროების განხილვა, რის გამოც ონომასტიკურ მონაცემებს, ხალხურ ტრადიციებსა და გადმოცემებს არ ვეხებით.

წმ. ელია წინასწარმეტყველის ბიბლიური ხატ-სახე, რომელსაც იცნობენ და აღიარებენ სხვადასხვა რელიგიები, და წმ. ელიას პარადიგმული გააზრება ახალ აღთქმაში, ქრისტიანულ საღვთისმეტყველო ლიტერატურაში, წმინდა მამათა მოძღვრებებში არეკლილი და შესულია

ქართულ ჰაგიოგრაფიაში, ჰიმნოგრაფიაში, აგრეთვე, ქართულ საერო ლიტერატურაში. მისი ხატ-სახის გასააზრებლად და ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა პერსონაჟებთან მისი მიმართების დასადგენად შევისწავლეთ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ასურელ მამათა „ცხოვრებები“, გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“, წმ. გიორგი მთაწმინდელის „წმ. იოვანესა და წმ. ეფთვიმე მთაწმინდელების ცხოვრება“, გიორგი მცირის „წმ. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“, აგრეთვე, მიქაელ მოდრეკილის, იოვანე მტბევრის, ზოსიმე და ეზრა მთაწმინდელების, იოვანე შავთელის საგალობლები.

ქართულ სააზროვნო სივრცეში საგანგებო ყურადღებას იქცევს საკითხი წმ. ელია წინასწარმეტყველის ხალენის შესახებ, რომლის სიმბოლური მნიშვნელობა, საქართველოში ელიას ხალენის მობრძანების ღირებულება აღიქმება, როგორც მაცხოვრის კვართის საქართველოში დავანების წინასაფეხური და წინაპირობა. ძველი და ახალი აღთქმის ორი უდიდესი სიწმინდის ერთმანეთთან დაკავშირება, ერთად დამკვიდრება საკრალური მნიშვნელობისაა. ძველ აღთქმას სიმბოლურად გამოხატავს ელიას ხალენი, რომელიც წინასწარმეტყველებაა ახალი აღთქმის მოძღვრების გავრცელებისა საქართველოში, ხოლო ახალი აღთქმის სიმბოლოდ უფლის კვართის დამკვიდრება საქართველოში მოწმობს ღვთის მცნებათა გზაზე სვლას, ქართველი ერის სულიერ ჩამოყალიბებას ქრისტიანული მრწამსის კვალობაზე. მცხეთაში ელიას ხალენის მოხვედრა, არსებობა და დაცულობა მოწმობს ძველი აღთქმის ეპოქას, ხოლო უფლის კვართის საქართველოში დავანება ახალი აღთქმის ეპოქის დაწყებას მოასწავებს.

წმ. ელია წინასწარმეტყველის ხალენის შესახებ ცნობები დაცულია ქართულ საისტორიო თხზულებებსა და ჰაგიოგრაფიაში. წმ. ელია წინასწარმეტყველის ხალენის შესახებ ჩვენამდე მოღწეულ წყაროთაგან უძველესი თხზულებაა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომლის რედაქციები განსხვავებულ ვერსიებს ინახავს და მოგვითხრობს. წყაროები წმ. ელია წინსაწარმეტყველის ხალენის შესახებ ქართულ

საეზროვნო სივრცეში დაცულია ჰაგიოგრაფიულ და საისტორიო თხზულებებში. ამ თვალსაზრისითაა განხილული „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სინური, შატბერდულ-ჭელიშური, ლეონტი მროველისეული, ნიკოლოზ გულაბერის ძის თხზულებათა მონაცემები; აგრეთვე, საისტორიო თხზულებებიდან განხილულია ანა დედოფლისეული, მარიამ დედოფლისეული, ვახტანგ მეექვსისეული „ქართლის ცხოვრების“ რედაქციები, ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომლებშიც დაცულია ცნობები წმ. ელიას ხალენის შესახებ. კვლევამ აჩვენა, რომ წმ. არსენ ბერის მეტაფრასულ თხზულებაში წმ. ნინოს შესახებ ელიას ხალენი ნახსენები არაა, რაც ახსნას მოითხოვს, რადგან ეს თხზულება „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციებს ეყრდნობა.

NESTAN SULAVA

SAINT ELIJAH PROFIT IN GEORGIAN WRITINGS

The symbol of Elijah profit which is known in different religions in Georgian writing culture has several meaning: 1. Saint Elijah profit and his symbol in New Testament, in orthodox literature, especially in Holy Father's teachings, in hagiography, hymnography and in secular literature. 2. The robe of Saint Elijah and the symbolic meaning of it, the value of Elijah's robe in Georgia as the prediction of the value of Christ robe. Connection of two holy things to each other has sacral meaning, Saint Elijah's robe is the symbol of Old Testament, and it was the prediction of the Christ's robes settle in Georgia. The symbol of the New Testament settled in Georgia for the reason that Georgian nation will step the way to the God. In Mtskheta Elijah's robe was settled as a symbol of the Old Testament and beginning of the new era. Saint Elijah was so popular in Georgia that it is said that his robe is in the South-East part of SvetiTskhoveli

(church). The notices about the Elijah's robe is kept in Georgian historical resources, in hagiography and hymnography. 3. There are too many icons shows us the task about Elijah 4. Onomastic sources in Georgia 5. Georgian folk tradition and narratives about the Saint Elijah in Georgia

In our article we focus on the symbolic meaning of the Elijah according the Georgian writing sources, to define the symbolic value of his face according the narratives from the Bible, just to define the symbol of his Asention Day and also the symbolic meaning of those holy persons who emphasize the Elijah. We looked through "Baptism of Kartli", life of the holy fathers from Asureti, "Life of Grigol from Khandzta" by Giorgi Merchule, "Life of Saint Ioane and Eftvime" by Giorgi Mtatsmindeli, in writings of Georgian hymnography _ Michael Modrekili, Ioane Mtbevari, Zosime and Ezra from Mtatsminda, Ioane Shavteli and others' hymns. After research works we make some comclusions, that Saint Elijah profit and his symbol in New Testament, orthodox writings, in holy father's doctrines entered in Georgian hagiography, hymnography and secular literature.

წყაროები:

ათონის კრებული, 1901: ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელთნაწერი აღაპებით, საიუბილეო გამოცემა საეკლესიო მუ'ხეუმისა, თბილისი, 1901.

ალექსიძე, 2010: წმინდა ნინოს „ცხოვრების" უძველესი რედაქციები, წიგნში: წმინდა ნინოს ცხოვრება და ქართლის მოქცევა, თბილისი, 2009.

ბიბლია, 2015: ბიბლია, ყველა არსებული რედაქციისა და ხელნაწერის მიხედვით ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ. თბილისი, 20015.

ვახტანგისეული რედაქცია, 2017: ახალი ქართლის ცხოვრება, ვახტანგ მეექვსისეული რედაქცია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონელი არახამიამ, თბილისი, 2017.

ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოისა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.

თაყაიშვილი, 2018: ე. თაყაიშვილი, თხზულებანი, VI, ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული რედაქცია, ექვთიმე თაყაიშვილის გამოც., თბილისი, 2018.

ინგოროყვა, 1913: პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, ტფილისი, 1913.

იოანე ოქროპირი, 1996: თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, I, თბილისი, 1996.

იოანე ოქროპირი, 1999: თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, II, თბილისი, 1998.

ლოპუხინი, 2008: А. Лопухин, Библейская история ветхого и нового заветов, Москва, 2008.

მართლმადიდებლური ენციკლოპედია, 2009: Православная Энциклопедия, XXII, Москва, 2009.

ნიკოლოზ გულაბერის ძე, 2007: ნიკოლოზ გულაბერის ძე, თხზულებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთ ნესტან სულავამ, მცხეთა, 2007.

სულავა, 2003: ნ. სულავა, XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, თბილისი, 2003.

ქართული პოეზია, 1979: ქართული პოეზია, გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო სარგის ცაიშვილმა, თბილისი, 1979.

შატბერდის კრებული, 1979: შატბერდის კრებული, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბილისი, 1979.

ძეგლები, 1963/1964: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ.

აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1963-1964.

ძეგლები, 1967: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები, II, გამოსაცემად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., „მეცნიერება“, 1967.

ლიტერატურა:

გრიგოლაშვილი, 2005: ლ. გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, თბილისი, 2005.

პატარიძე, 1987: ლ. პატარიძე, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ დროის კონცეფციის გაგებისათვის (ელიას ხალენი „ნინოს ცხოვრებაში“), მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1987, №2.

სურგულაძე, 2003: ი. სურგულაძე, მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბ., 2003.